ხელშეკრულების № 02-070503

ქ. თბილისი „05“, ივლისი 2012 წ.

ხელშეკრულების დადების სამართლებრივი საფუძველი: საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის №69 დადგენილებით დამტკიცებული „შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის” სახსრებით საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესი“.

ხელშეკრულების მხარეები: ერთის მხრივ, **შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“** (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი კვაშილავას მიერ, მეორეს მხრივ, **შპს „ბელუქსი პლიუსი“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის მამუკა დოლიძის მიერ (შემდგომში – მიმწოდებელი)

მუხლის №	მუხლის სათაური	მუხლის შინაარსი
1.	ხელშეკრულების საგანი	შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის” საქმიანობის სპეციფიკასთან დაკავშირებული საქონლის და მომსახურეობის ჩამონათვალი, საქონლის დასახელება: №87 საოფისე ავეჯი. ერთი ცალი სამეული (3+2+1 mod: MM399 col:A-0035)
2.	ხელშეკრულების ჯამური ღირებულება	ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **2900** (ორიათას ცხრაასი) ლარს მოქმედი გადასახადების ჩათვლით.
3.	საქონლის ხარისხი	მიმწოდებელი ვალდებულია მხარეების მიერ შეთანხმებული ხარისხით, ქვეყანაში მოქმედი სტანდარტებისა და ტექნიკური ნორმების შესაბამისი საქონლის მიწოდებაზე.
4.	საქონლის მიწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 კალენდარულ დღეში.
5.	საქონლის მიღების წესი	მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს უფლებამოსილი წარმომადგენელი.
6.	მიღება-ჩაბარების აქტის რეკვიზიტები	ხელშეკრულების ნომერი, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღი, მომსახურების დასახელება, მოცულობა, ღირებულება, შემსყიდველის, მიმწოდებლის და მათი წარმომადგენლების დასახელება, უფლებამოსილი პირების ხელმოწერა.
7.	საქონლის მიწოდების ადგილი	შემსყიდველის მისამართი.
8.	ანგარიშსწორების ვალუტა, ფორმა, გადახდის ვადა	ლარი, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ანგარიშსწორების განსახორციელებელი ბოლო დოკუმენტის წარდგენიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.
9.	ანგარიშსწორების განსახორციელებელი დოკუმენტაცია	ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები და მიღება-ჩაბარების აქტი.
10.	პასუხისმგებლობა	მიმწოდებელს ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ სრულ კვირაზე ასანაზღაურებელი თანხიდან დაუკავდება ხელშეკრულების ღირებულების 0.3%; ზიანი ანაზღაურდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.
11.	ფორსმაჟორული გარემოებები	ომი, სტიქიური მოვლენები, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებათა მკვეთრი შემცირება და სხვა მხარეთა მიერ დაუძლეველი გარემოება. ასეთ დროს ვალდებულებათა დარღვევის გამო მხარეთა პასუხისმგებლობა გამოირიცხება. მეორე მხარეს უნდა ეცნობოს ფორს-მაჟორული გარემოების არსებობის შესახებ 5 დღის ვადაში.
12.	დავის გადაწყვეტის წესი	მხარეთა მოლაპარაკება. მოლაპარაკების დროს მისაღები შედეგის მიუღწეველობის შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვა.
13.	ხელშეკრულებაში ცვლილებები/დამატებების შეტანის ფორმა	წერილობითი.
14.	ეგზემპლარების რაოდენობა და განაწილება	ხელშეკრულება დგება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ერთი – მიმწოდებელთან.
15.	ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის უფლებამოსილებები	ა) პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს 3%-ს ან მეტს; ბ) ხელშეკრულების მეორე მხარის მიერ ვალდებულების დარღვევა; გ) ფორს-მაჟორული გარემოებების გაგრძელება 15 დღის განმავლობაში; დ) ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე, არანაკლებ 10 დღით ადრე შემსყიდველის მიერ წერილობითი შეტყობინებით; ე) ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე ნებისმიერ დროს, თუ დადგება ისეთი გარემოება, რომელიც ადასტურებს, რომ მეორე მხარის მიერ ვალდებულება მომავალში ვერ შესრულდება; ვ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
16.	ხელშეკრულების ინსპექტირება	ინსპექტირება შესაძლებელია განხორციელდეს შემსყიდველის მიერ, საქონლის მიწოდების შემდეგ 10 დღის განმავლობაში, შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ის მიერ. ინსპექტირებისას გამოვლენილ ნაკლს მიმწოდებელი გამოასწორებს საკუთარი ხარჯით.
17.	ხელშეკრულების მოქმედება	ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2012 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

1. **შპს “საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"; ს/კ №412670097. მისამართი: ქ.თბილისი, ა.პოლიტკოვსკაიას; სს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ 220101480; ა/ა № GE77LB0113123325230012; LBRTGE22.**
   წარმომადგენელი: დირექტორი ირაკლი კვაშილავა

2. **შპს „ბელუქსი პლიუსი” ს/კ 205289249; მისამართი: ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. №118, საბანკო რეკვიზიტები: სს „ბანკი რუსეთი“ ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი: 220101757; ა/ა GE39BR0000010407741884.**
   წარმომადგენელი: დირექტორი მამუკა დოლიძე